ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2020 წლის 13 თებერვლის სხდომის

ოქმი № 1

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 19.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში

   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარების დამტკიცება

   მომხს: ვ. მელიქიძე
3. ცვლილებები სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის წესში

   მომხს: ვ. მელიქიძე
4. დოქტორანტ სოფიკო მეტრეველის მიერ სადოქტორო პროგრამის და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ

   მომხს: თ. მატარაძე
5. დოქტორანტ ლია მამულაშვილისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ

   მომხს: თ. მატარაძე
6. დოქტორანტ მედეა სიგუასთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დამატების შესახებ

   მომხს: თ. მატარაძე
7. დოქტორანტ როსტომ ლეჟავას სადოქტორო ნაშრომის სათაურის ცვლილების შესახებ

   მომხს: თ. მატარაძე
8. დოქტორანტ ნატა გარაყანიძის სადოქტორო ნაშრომის სათაურის დაზუსტების შესახებ

   მომხს: თ. მატარაძე
9. დოქტორანტ გიორგი ლეკვეიშვილის სადოქტორო ნაშრომის სათაურის დაზუსტების შესახებ

მომხს: თ. მატარაძე

10. დოქტორანტ იოსებ ჯაფარიძის სადოქტორო ნაშრომის თემის შეცვლის შესახებ

მომხს: თ. მატარაძე

11. დოქტორანტ გურამ ანანეიშვილის სადოქტორო ნაშრომის თემის შეცვლის შესახებ

მომხს: თ. მატარაძე

12. დოქტორანტ მარიამ ჩოჩიას სადოქტორო ნაშრომის თემის შეცვლის შესახებ

მომხს: თ. მატარაძე

13. ცვლილებები კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიაში

მომხს: რ. ჯორბენაძე

14. პროფესორ მ. მაცაბერიძის კვლევის, "საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება", პირველი წლის მუშაობის შედეგების პრეზენტაცია

მომხს: მ. მაცაბერიძე

მოისმინეს: 1. ცვლილებების პროექტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში, დამსწრეთ წარუდგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს : გ. გოგსაძემ, ხ. მაისაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, მ.წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები საფაკულტეტო კურიკულუმში წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ვ. მელიქიძემ, დამსწრეთ გააცნო თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N78/2018 და N81/2018 დადგენილებებით დამტკიცებული, უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესები. ამ დადგენილებების მოთხოვნების შესაბამისად შევსებულ კითხვარებში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს განვლილი კალენდარული წლის მუშაობის შედეგები.

აზრი გამოთქვეს : ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, მ. მაცაბერიძემ, მ. წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს ფაკულტეტის მხოლოდ იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ 2019 კალენდარულ წელს გაწეული მუშაობის შედეგები, რომლებმაც წარმოადგინეს თვითშეფასების კითხვარები.

მოისმინეს: 3. სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე ისაუბრა ვ. მელიქიძემ და საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა პროექტი

აზრი გამოთქვეს: ნ. ბელქანიამ, ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის წესში (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანის სახელზე შემოსული, დოქტორანტ სოფიკო მეტრეველის განცხადება, რომელიც ითხოვს სადოქტორო პროგრამისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლას, დამსწრეთ გააცნო თ. მატარაძემ.

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, რ. ჯორბენაძემ, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: გადაყვანილ იქნას სოფიკო მეტრეველი „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ სადოქტორო პროგრამიდან, „სოციოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაზე და სამეცნიერო ხელმძღვანელად, ნაცვლად პროფესორ რევაზ ჯორბენაძისა დაენიშნოს ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე.

მოისმინეს: 5. დოქტორანტ ლია მამულაშვილის განცხადება, რომელიც ითხოვს სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლას, დამსწრეთ გააცნო თ. მატარაძემ.

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ნ. პავლიაშვილმა, გ.გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ ლია მამულაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელად, ნაცვლად ასოცირებულ პროფესორ ია იაშვილისა, დაინიშნოს ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი.

მოისმინეს: 6. ფაკულტეტის დეკანის სახელზე შემოსული, დოქტორანტ მედეა სიგუას განცხადება, რომელიც ითხოვს სამეცნიერო ხელმძღვანელის დამატებას

აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ , რ. ჯორბენაძემ, ზ. აბაშიძემ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ მედეა სიგუას სამეცნიერო ხელმძღვანელად ალექსანდრე კუხიანიძის გარდა, დამატებით დაენიშნოს მოწვეული პედაგოგი ვახტანგ მაისაია.

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის დეკანის სახელზე შემოსული, დოქტორანტ როსტომ ლეჟავას განცხადება, რომელიც ითხოვს სათაურის ცვლილებას

აზრი გამოთქვეს: რევაზ ჯორბენაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტს როსტომ ლეჟავას სადისერტაციო ნაშრომის სათაური „სამხედრო ალიანსების როლი რეგიონული სტაბილურობის ჩამოყალიბებაში, სამხრეთ კავკასიის მაგალითზე“ შეიცვალოს შემდეგი სახით: „სამხედრო კავშირების როლი რეგიონული სტაბილურობის ჩამოყალიბებაში, სამხრეთ კავკასიის მაგალითზე.“

მოისმინეს: 8. დოქტორანტ ნატა გარაყანიძის განცხადება, რომელიც ითხოვს სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტებას

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ ნატა გარაყანიძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური „ენერგორესურსების გავლენა პატარა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე: სომხეთის და აზერბაიჯანის მაგალითები“ დაზუსტდეს შემდეგი სახით „ენერგორესურსები და პოსტსაბჭოთა პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა.“

მოისმინეს: 9. ფაკულტეტის დეკანის სახელზე შემოსული, დოქტორანტ გიორგი ლეკვეიშვილის განცხადება, რომელიც ითხოვს სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტებას

აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ გიორგი ლეკვეიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური „ადგილობრივი ენერგოსექტორის განვითარების რეგიონული პრობლემები საქართველოში“ დაზუსტდეს შემდეგი სახით „შინამეურნეობების ენერგომოხმარების თავისებურებები საქართველოს მცირე საქალაქო და სასოფლო დასახლებებში.“

მოისმინეს: 10. დოქტორანტ იოსებ ჯაფარიძის განცხადება, რომელიც ითხოვს სადისერტაციო თემის ცვლილებას.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ იოსებ ჯაფარიძის სადისერტაციო ნაშრომის თემა „უსაფრთხოების სექტორის რეფორმა საქართველოში - მშვიდობის გარანტი პოსტ-კონფლიქტურ ვითარებაში“ შეიცვალოს ახალი თემით „საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის სტრატეგიული შესაძლებლობები და „უსაფრთხოების დილემის“ პარადიგმა.

მოისმინეს: 11. დოქტორანტ გურამ ანანეიშვილის განცხადება, რომელიც ითხოვს სადისერტაციო თემის შეცვლას

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ზ. დავითაშვილმა, მ. მაცაბერიძემ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ გურამ ანანეიშვილის სადისერტაციო ნაშრომის თემა „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციისათვის საჭირო ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობები“ შეიცვალოს ახალი თემით „შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი მრავალეთნიკურ საზოგადოებაში.“

მოისმინეს: 12. დოქტორანტ მარიამ ჩოჩიას განცხადება, რომელიც ითხოვს სადისერტაციო თემის შეცვლას

აზრი გამოთქვეს: თ.დოლბაიამ, მ. შამილიშვილმა, ნ. ბელქანიამ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ მარიამ ჩოჩიას სადისერტაციო ნაშრომის თემა „შიდა და გარე კონსულტირების განსხვავებული ეფექტურობა ორგანიზაციის განვითარებაში“ შეიცვალოს ახალი თემით „კომუნიკაციის ეფექტურობა ჰორიზონტალური და ვერტიკალური სტრუქტურების მქონე ორგანიზაციებში.“

მოისმინეს: 13. ცვლილებები კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიაში დასამტკიცებლად წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, თ. მატარაძემ, ვ. მელიქიძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია (დანართი3)

მოისმინეს: 14. პროფესორ მ. მაცაბერიძის კვლევის, “საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება”, პირველი წლის მუშაობის შედეგების პრეზენტაცია წარმოადგინა პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ

საბჭოს წევრებმა ინტერესით მოისმინეს მ. მაცაბერიძის სამეცნიერო ანგარიში, ბევრ კითხვაზე მიიღეს პასუხი და თავადაც გამოთქვეს მოსაზრებები.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

13 აგვისტო, 2020

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. სალომე დუნდუა
12. ზვიად აბაშიძე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე

20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. მარიამ ბერიანიძე
27. ალექსანდრე გაბაშვილი
28. გიორგი გოგოლაძე
29. ნინო გოლიაძე
30. თორნიკე კობახიძე
31. შალვა ლაშხია
32. ანი სარალიძე
33. რატი ხითარიძე
34. ელენე ბებერაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფოუნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანს **თამარ დოლბაიას**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის

რევაზ ჯორბენაძის

მიმართვა

ქალბატონო თამარ,

წარმოგიდგენთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (13 თებერვალი, 2020 წელი) გასატან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებს.

კერძოდ:

საბაკალავრო პროგრამები:

საბაკალავრო საფაკულტეტო (საბაზისო) კურსები:

1. **ახალი საგნის შემოტანა:**

- „ფილოსოფიის საფუძვლები“ - პროფესორი ვალერიან რამიშვილი, არჩევითი(15/15)

2. **სილაბუსის განახლება და ლექტორთა დამატება:**

- „სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდები“

საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 34)

1. **ახალი კურსის დამატება:**

   - „თანამედროვე ტელედოკუმენტალისტიკა(პრაქტიკუმი)“ არჩევითი - მოწვეული ლექტორი ნათია რაჭველიშვილი, 5 კრედიტი, (15/15).

   - „მონაცემთა ელექტრონული ბაზები“ არჩევითი - ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი(სვტორი) და ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი - 5 კრედიტი, (15/15).

   2. ლექტორის დამატება;

   - „რადიომედია (პრაქტიკუმი)“ არჩევითი - მოწვეული პედაგოგი ეკატერინე ტალახაძე - 5 კრედიტი, (15/15).

   -„ ტელემედია-პრაქტიკუმი“ სავალდებულო - მერაბ მეტრეველი დაემატა.

   - „ბეჭდური მედია (პრაქტიკუმი) დაემატა ასისტენტ პროფესორი თამარ ბელქანია.

   3. საათობრივი და სემინარული აქტივობის ცვლილება:

   - „კულტურული მიმდინარეობები და მედიატექსტები“ არჩევითი - ასოცირებული პროფესორი მანანა შამილისვილი და მოწვეული პედაგოგი ადა ნემსაძე. – 5 კრედიტი, (15/30).

   4. **ცვლილება სილაბუსში(შეფასების კომპონენტის):**

   - „ქართული ენა 1“ და „ქართული ენა 2“ სავალდებულო - მოწვეული პროპფესორი თეა ბურჭულაძე, სემინარის აქტივობის ქულათა განაწილება შეიცვალა.

საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (ქართული-რუსულენოვანი კომპონენტებით) (დადგენილებაN97/2018, დანართი N 35)

1. **პროგრამის ტექსტში მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილება:**

- ნაცვლად მითითებული „სოციალური მეცნიერებათა ბაკალავრიატისა“ ჩაიწერა - „სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი“. (აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე).

2. **ლექტორის ცვლილება და დამატება :**

- „სოციოლოგიის შესავალი“ - ნინო ამონაშვილის ნაცვლად წაიკითხავს შორენა თურქიაშვილი.
- „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ - დაემატა მოწვეული პედაგოგი გიორგი სიამაშვილი.

3. **სტატუსის შეცვლა და სილაბუსის განახლება:**

- „ანალიზი და თვალსაზრისი ჟურნალისტურ შემოქმედებაში“ - სავალდებულო
- „ონლაინ მედია“ - სავალდებულო, შემოდგომის სემესტრი.

4. **ახალი სასწავლო კურსების შექმნა:**

- ჟურნალისტური აუდიტორიის ფენომენი“ - არჩევითი, გაზაფხულის სემესტრი.(30/15), ლექტიორი ჯილდა ასათიანი.
- „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ასპექტები“ - არჩევითი, გაზაფხულის სემესტრი, (15/15), ლექტორი მარია ზუბიაშვილი.

5. **შეფასების სისტემის შეცვლა, ლიტერატურის განახლება, თემატიკის განახლება და სწავლების მეთოდიკის განახლება:**

- „ქართული ენა 1 და ქართული ენა 2“ .
- „ანთროპოლოგია“
- „იმიჯოლოგია - საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება“
- „კინოოპერატორის მუშაობა დოკუმენტურ ფილმზე“
- „საჯარო გამოსვლა“
- „შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში“
- „თვითმენეჯმენტი პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში“
- „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“
- „ეთიკა და პროფესიული პასუხისმგებლობის სტანდარტები“
- „საინფორმაციო სააგენტოები-ინფორმაციის წარმოება და ინფორმაციული მომსახურება“
- „გამოჩენილი სახელები აშშ-ის ჟურნალისტიკაში“
- „მედიაზემოქმედების თანამედროვე თეორიები“.

საბაკალავრო პროგრამა „სოციალური მუშაობა“ (დადგენილება #57/2011, დანართი 38)

1. **ახალი კურსების დამატება:**

- „კლინიკური სოციალური მუშაობის საფუძვლები“ - მოწვეული ლექტორი ია შეყრილაძე, არჩევითი, გაზაფხულის სემესტრი(15/15).
- „ლგბტქი იდენტობა - ბიო-ფსიქო-სოციალური პერსპექტივა“ - მოწვეული ლექტორი გ.წოწკოლაური, არჩევითი, გაზაფხულის სემესტრი.
-

2. **სტატუსის ცვლილება:**

- „სოციალური მუშაობა და ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულვებელყოფისაგან“ - ასოცირებული პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი - აჩევითის ნაცვლად გახდა სავალდებულო.

3. **კურსების მოდიფიკაცია, შეფასების სისტემის შეიცვალა და თემების დამატება:**

- „სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები 1“ და „სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები 2“ - ლექტორი ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე.
- „სოციალური მუშაობა აივ ინფექცია-შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მქონე პირებთან“
- „სოციალური მუშაობა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან“
- „კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური მუშაობა“

საბაკალავრო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 40)

1. **ახალი საგნის დამატება:**

- „საქართველო მსოფლიო კონტექსტში: ისტორიულ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მიდგომა“ - პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე, 5 კრედიტი, (30/15)არჩევითი.

2. **საგნის სახელწოდების ცვლილება:**

- „სივრცე, პოლიტიკა, იდენტობის“ ნაცვლად დაერქვა „სივრცე და პოლიტიკა“

3. **შეფასების სისტემაში ცვლილება:**

- „მოსახლეობის გეოგრაფია“ – 15 ქულა კოლოკვიუმი. 35 აქტივობა.

4. **სილაბუსის განახლება:**

- „მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია“.

საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ (დადგენილება #57, 2011, დანართი 41)

1. **სემესტრის ცვლილება:**

- „ომის თეორია და ისტორია“- შემოდგომის სემესტრის ნაცვლად ერთჯერადად გაიხსნება გაზაფხულის სემესტრში.
-

2. **შეფასების კომპონენტის ცვლილება, ლიტერატურის დამატება, შეფასების სისტემის შეცვლა, სილაბუსის ფორმის განახლება, სემესტრის შეცვლა, წინაპირობებში ცვლილება:**

- „ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა“ - შემოდგომის სემესტრის ნაცვლად გაიხსნება გაზაფხულის სემესტრში, წინაპირობაში დაემატა - ‘შესავალი ევროპათმცოდნეობაში, ინგლისური ენა 4, საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი.
- „საერთაშორისო კონფლიქტები: ქეისები“
- „შესავალი ევროპათმცოდნეობაში“
- „ევროპული ინტეგრაციის ისტორია“ - მოწვეული ლექტორი დიანა ენდელაძე.
- „საბაკალავრო სემინარი“ - მოწვეული ლექტორი გიორგი ხელაშვილი.
- „საერთაშორისო ეკონომიკა“
- “პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკა“ - მოწვეული ლექტორი მამუკა კომახია.

3. **ახალი კურსის დამატება:**

- „მოლაპარაკებები და მედიაცია“ - მოქვეული პროფესორი ტარიელ სიხარულიძე, გაზაფხულის სემესტრში (15/15).

საგანმანათლებლო პროგრამა „სოციოლოგია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 37)

1. **ლექტორის დამატება:**

- „შესავალი ფემინისტურ ნააზრევში“ - წაიკითხავს მოწვეული პედაგოგი მარიამ ჭანჭალეიშვილი ნაცვლად თამთა მელაშვილისა.

2. **შეფასების კრიტერიუმების ცვლილება და სემესტრის დამატება;**
   - „ბიოგრაფიკა“ - ლექტორი პროფესორი ნოდარ ბელქანია.

საგანმანათლებლო პროგრამა „პოლიტიკის მეცნიერება“ (დადგენილება #137/2015, დანართი 36).

1. **ლექტორის დამატება -**
   - „კავკასიის შედარებითი პოლიტიკა“ - სემინარის ლექტორად დაემატა ლევან ლორთქიფანიძე.
   - „შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში“ - სემინარის ლექტორად დაემატა ნინო მაისურაძე.
   - –
2. **სილაბუსის განახლება და სათაურის ცვლილებები:**
   - „პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია (ანტიკურობიდან ახალ დრომდე)“ - ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა.
   - „მსოფლიო პოლიტიკა“ – პროფესორი კორნელი კაკაჩია
   - „პოლიტიკური კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული“ - პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე
3. **ახალი საგნის შემოტანა:**
   - „ახალი დროის პოლიტიკური აზრი“ - ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა, (30/15).

სამაგისტრო პროგრამები:

სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (დფადგენილება # 137/2015 , დანართი 62)

1. **საგნის დამატება:**
   -„ ქალაქდაგეგმარების სოციალური განზომილება“ – ლექტორი ზურაბ ბაქრაძე (30/15) გაზაფხულის სემესტრი.

სამაგისტრო პროგრამა „მედია და ახალი ტექნოლოგიები“(დადგენილება #57/2011, დანართი 46)

1. **ლექტორთა დამატება:**
   - „რადიოგადაცემის მომზადება“ - ლექტორად დაემატა ასისტენტ პროფესორი თეა მჟავანაძე, პრაქტიკულ სამუშაოზე ავთანდილ საბიაშვილი.

სამაგისტრო პროგრამა „სოციალური მუშაობა“ (დადგენილება #, დანართი)

1. **სასწავლო კურსის დამატება:**
   - „სოციალური მუშაობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე (გსმ) პირებთან - მოწვეული ლექტორი თამარ ზაალიშვილი და ასოცირებული პროფესორი ნინო შატბერაშვილი. არჩევითი, (15/15), გაზაფხულის სემესტრი.
   - „ბავშვების განვითარება და მშობლებთან მუშაობა“ - ასოცირებულლი პროფესორი ნინო შატბერაშვილილ და მოწვეული ლექტორი გურანდა თეთრაძე. (15/15) არჩევითი. გაზაფხულის სემესტრი.
2. **ლექტორის ცვლილება:**

- „სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა 2“ - მელი აკობიას ნაცვლად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი ნინო ნუცუბიძე.

სამაგისტრო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ (დადგენილება #57/2011 , დანართი 49)

1. **შეფასების კრიტერიუმების ცვლილება:**
   - „ბიოგრაფიკა“ - ლექტორი პროფესორი ნოდარ ბელქანია.
   -

საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“(დადგენილება 264# 2012.26.07, დანართი 65)

1. **ახალი კურსის დამატება:**
   - „საერთაშორისო მედიაცია“ - მოწვეული პროფესორი ტარიელ სიხარულიძე, გაზაფხულის სემესტრი, (15/15).

საგანმანათლებლო პროგრამა - „ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები“(დადგენილება # 57/2011 დანართი 66)

1. **სემესტრული ცვლილება:**
   - „შესავალი ეთნიკურობისა და კულტურის კვლევებში“ - სავალდებულო, (გამოდის ერთჯერადად).

სამაგისტრო პროგრამაში ,,პოლიტიკის მეცნიერება“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 63)

1. **სილაბუსის განახლება:**

- „უსფრთხოების თანამედროვე კვლევები“- ალექსანდრე კუხიანიძე

სამაგისტრო პროგრამაში ,,მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები“ (დადგენილება2011 №57, დანართი 45)

1. **სილაბუსის განახლება - ლიტერატურის განახლება, სახელწოდების, საათობრივი და შეფასების სისტემის ცვლილებები :**
   - „მეოცე საუკუნის ფილოსოფიურ-ესთეტიკური მიმდინარეობები და თეორიები“ სავალდებულო - მოწვეული პედაგოგი ადა ნემსაძე, 5 კრედიტი, (30/15) ნაცვლად (15/15) .
   - „გლობალური კომუნიკაციები“ არჩევითი - მოწვეული პედაგოგი ეკატერინე ბასილია, 5 კრედიტი, (15/15).
   - „მასკომუნიკაციის თეორიები“ არჩევითი - მოწვეული პედაგოგი ეკატერინე ბასილია, 5 კრედიტი, (15/15).
   - „მედია და დემოკრატიზაცია“ ნაცვლად „მედიის დემოკრატიზაცია და პოლიტიკა“ - არჩევითი - ასოცირებული პროფესირი მანანა შამილიშვილი, 5 კრედიტი, (15/15).
   - „საინფორმაციო ომები: პოსტსაბჭოთა საქართველო და მედია“ - ლექტორი ზაზა ცოტნიაშვილი (15/30) ნაცვლად (15/15) .
   -

სამაგისტრო პროგრამა „მედიათფსიქოლოგია და კომუნიკაციები“ ინგლისური, (დადგენილება # 99/2019 , დანართი 295)

1. **სტატუსის შეცვლა და პროგრამის კრედიტების ცვლილება :**

- „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: თანამედროვე მიდგოპმები R-ის გამოყენებით“, სავალდებულოს ნაცვლად გახდა არჩევითი,

სავალდებულო , პროგრამის კრიტერიუმები - 65/40/15.

სამაგისტრო პროგრამა „პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება“ (დადგენილება # 42/2019, დანართი 296)

1. **სემესტრის, ლექტორის დამატება და სტატუსის შეცვლა:**
   - „დემოკრატიზაცია“ სავალდებულო არჩევითის ნაცვლად, გაზაფხულის სემესტრი, დაემატა პროფესორი მარინა მუსხელიშვილი.
   - „პოსტკომუნისტური მმართველი კლასი“ არჩევითი სავალდებულოს ნაცვლად.
2. **სემესტრის ცვლილება:**
   - „შედარებითი ანალიზის მეთოდები“ ლექტორი თეონა მატარაძე სავალდებულო გადავიდა შემოდგომის სემესტრში.
3. **ლექტორის დამატება:**
   - „პროექტის მართვა“ დაემატა ლექტორი ასოცირებული პროფესორი მედეა ბადაშვილი

სამაგისტრო პროგრამაში ,,გენდერის კვლევა“, ქართულენოვანი (დადგენილება 2011 №57, დანართი 43)

1. **ლექტორის დამატება:**
   - „ფემინისტური ფილოსოფია“ - გაზაფხულის სემესტრის სავალდებულო - დაემატა ასოცირებული პროფესორი მედეა ბადაშვილი.
2. **კურსის დამატება:**
   - „ფემინისტური სამართლის თეორია და კრიტიკა“ - გაზაფხულის სემესტრის არჩევითი კურსი - მოწვეული პედაგოგი ლია ჯალაღონია(15/15).

- „სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები“ - ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე (კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამიოდან)

3. **სილაბუსის განახლება:**
   - „გენდერი და იძულებით გადაადგილება“ - მოწვეული პედაგოგი ნარგიზა არჯევანიძე.

სამაგისტრო პროგრამა „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“ (დადგენილება # 57/2011, დანართი 56)

1. **სასწავლო კურსის სათაურის კორექტირება და სილაბუსის განახოლება:**
   - შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში R-ის გამოყენებით“ - ნაცვლად რაოდენობრივი კვლევეის მეტოდები - შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში R-ის გამოყენებით“.

სამაგისტრო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ (დადგენილება 57/2011, დანართი 256)

1. **სილაბუსის განახლება:**
   - „სოციალუირი კვლევის რაოდენობრივი მეთოდები“. ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე.
2. **კურსის დამატება:**
   - „პროგრამის შეფასება(კონფლიქტების ანალიზი და მართვა)“ - ამერიკელი პროფესორი სიუზან ალენი (30/15).

სადოქტორო პროგრამები

1. **სადოქტორო პროგრამებში სილაბუსის განახლება და ახლის დამტკიცება:**

- „კვლევის მეთოდოლოგია“ 5 კრედიტი, სავალდებულო.
- „პროფესორის ასისტენტობა“ 5 კრედიტი, სავალდებულო.
- „დარგობრივი სემიონარი“ 15 კრედიტი, სავალდებულო

2. **სადოქტორო პროგრამა დამტკიცება:**
   - „კულტურისა და მედიის სოციოლოგიის“ დამტკიცება.

პატივისცემით,

რევაზ ჯორბენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი

საბაკალავრო ნაშრომის მიზანი

საბაკალავრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია - დარგობრივი ცოდნის, კვლევითი, შემოქმედებითი თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენა. საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად, გამონაკლის შემთხვევაში არა უმეტეს 2 თანაავტორის მიერ შესრულებულ სამუშაოს. თანაავტორობისას ანოტაციაში გამოკვეთილი და მითითებული უნდა იყოს თითოეული მონაწილის წვლილი.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას უძღვება ხელმძღვანელი, რომელსაც ირჩევს სტუდენტი. ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს, როგორც შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორიც.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს საბაკალავრო ნაშრომის თემის შერჩევას, კვლევის ჩატარებისა და ნაშრომის დასაცავად წარდგენის პროცესს.

საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევა

- დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, სტუდენტი სასწავლო ბარათში (lms.tsu.ge) რეგისტრირდება საგანზე „საბაკალავრო ნაშრომი“ (შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის მითითებით).
- სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში, სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომების სავარაუდო სათაურებსა და ხელმძღვანელების კანდიდატურებს, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს გადასცემს შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ვებგვერდზე ასატვირთად

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. თავფურცელი (სატიტულო ფურცელი)
2. ანოტაცია (ქართულ ენაზე)
3. სარჩევი (შინაარსი)
4. შესავალი
5. ტექსტის ძირითადი ნაწილი
6. დასკვნა
7. გამოყენებული ლიტერატურის სია

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი): (ივსება ქვემოთ მოყვანილი წესის მიხედვით)

- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისა და პროგრამის დასახელება (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საბაკალავრო პროგრამის დასახელება) (შრიფტის ზომა: 14);
- სტუდენტის სახელი და გვარი მიეთითება 2-3 სმ-ის დაშორებით (შრიფტის ზომა: 16);
- შუა ნაწილში იწერება ნაშრომის სახელწოდება (შრიფტის ზომა: 16);
- ნაშრომის დასახელების ქვემოთ იწერება მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი დასაცავად (შრიფტის ზომა: 14); (მაგ.: ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად);
- თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა (შრიფტის ზომა: 12);
- ნაშრომის შესრულების ადგილი და დრო, ქალაქი და წელი მიეთითება სულ ქვემოთ, ფურცლის შუა ნაწილში (მაგ: თბილისი, 2020 წელი) (შრიფტის ზომა: 12)

სარჩევი (შინაარსი)

მოცემული უნდა იყოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციის და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

ანოტაცია

აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 100-150 სიტყვა, ანოტაცია იწერება ქართულ ენაზე. ჯგუფური ნაშრომის ან შემოქმედებითი პროექტის შესრულებისას, ანოტაციაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.

შესავალი:

ნაშრომის ამ ნაწილში აისახება თემის აქტუალობა და მნიშვნელობა, ნაშრომის მიზნები და მოცანები, საკვლევი საგანი, გამოყენებული მეთოდ/ებ/ი, მიდგომები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები (ასეთის არსებობის შენთხვევაში).

ტექსტის ძირითადი ნაწილი:

ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა დაიყოს თავებად და პარაგრაფებად. ტექსტში უნდა ჩანდეს საკვლევ საკითხზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, თეორიული და ემპირიული კვლევის ეტაპები და შედეგები.

დასკვნა: ასახავს კვლევის/შემოქმედებითი პროექტის თეორიულ და პრაქტიკულ შედეგების ინტერპრეტაციას, ძირითადი დასკვნები, მიგნებები ან/და რეკომენდაციები.

ტექსტის
გაფორმების წესი:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე
2. შრიფტის სახე - Sylfaen
3. ტექსტის შრიფტის ზომა - 12
4. თავები ინომრება თანმიმდევრულად
5. პარაგრაფს დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები
6. თავების/პარაგრაფების შრიფტის ზომა - 16/14
7. სქოლიოს შრიფტის ზომა -10
8. სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
9. ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან -1 სმ, ზემოდან - 2.5 სმ, ქვემოდან 2.5ს;
10. ნაშრომის მოცულობა არანაკლებ 20 გვერდისა (დანართებისა და მითითებული ლიტერატურის გარეშე). ჯგუფური საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა 2 სტუდენტის შემთხვევაში 30 გვერდი, 3 სტუდენტის შემთხვევაში 40 გვერდი.

გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები:

საბაკალავრო ნაშრომი უნდა მომზადდეს სოციალურ მეცნიერებებში დამკვიდრებული APA-ს სტილის (ამერიკელ ფსიქოლოგთა ასოციაცია) გამოყენებით (იხ. ბმული http://www.waikato.ac.nz/library/study/referencing/styles/apa/examples/books).

საბაკალავრო ნაშრომის დაცვა:

საბაკალავრო ნაშრომების შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც საჯარო დაცვის ფორმით, ისე საჯარო დაცვის გარეშე კომისიის დასკვნის საფუძველზე. კომისიის შემადგენლობა (არანაკლები 3 წევრისაგან) მტკიცდება დეკანის ბრძანებით.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის/დაცვის გარეშე შეფასების გრაფიკს საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. გრაფიკი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

დაცვა/შეფასება ყველა საბაკალავრო პროგრამისათვის ჩატარდება 6 (ექვსი) სამუშაო დღის განმავლობაში სემესტრულ ძირითად და დამატებით გამოცდებს შორის პერიოდში.

საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით ნაშრომის დაცვამდე ბაკალავრი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, მის პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე e-learning.tsu.ge.

ელექტრონულ ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (doc. გაფართოებით). დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს BA Thesis და ავტორის გვარი (მაგ.: BA Thesis.Kapanadze);

ნაშრომის ატვირთვის ინსტრუქცია, ატვირთვის თარიღის მითითებით, გამოქვეყნდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე დაცვამდე/შემოწმებამდე არა უგვიანეს 30 სამუშაო დღით ადრე. ნაშრომის ატვირთვის ვადების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი ვერ ატვირთავს ნაშრომს და დაცვაზე არ დაიშვება. ამავე ინსტრუქციაში მოცემული იქნება პლაგიატის განმარტება და მასზე რეაგირების მექანიზი.

საბაკალავრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების დასრულების შემდგომ, მაგრამ დაცვამდე არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე, შემოწმებული ნაშრომი, რომელშიც არ არის აღმოჩენილი პლაგიატი, გადაეცემა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. ეს უკანასკნელი უგზავნის ნაშრომს საბაკალავრო ნაშრომის ხელძღვანელს და კომისიის წევრებს დაცვამდე 4 (ოთხი) სამუშაო დღით ადრე.

ამავე ვადებში საბაკალავრო ნაშრომის ბეჭდურ ვარიანტს სტუდენტი წარადგენს შესაბამის დეპარტამენტში. ნაშრომის ნაბეჭდი ვერსია უნდა ემთხვეოდეს პლაგიატზე შემოწმებულს. ვერსიების აცდენის შემთხვევაში სტუდენტი დაცვაზე არ დაიშვება და აიღებს დამატებით სემესტრს. საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ზამბარით აკინძული ან ყდაში ჩასმული).

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით (იხილეთ შეფასების კრიტერიუმები). სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და ბაკალავრს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

დაცვიდან 1 (ერთ) სამუშაო დღეში საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ოქმი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, ბაკალავრის სასწავლო ბარათში შეფასების ქულის შესატანად. სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები ინახება ფაკულტეტზე თსუ-ში დადგენილი წესის მიხედვით.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (დაცვით):

1.საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ხელმძღვანელის (40 ქულა) მიერ	მაქსიმალური ქულა – 40 **(დაცვაზე გასვლის წინაპირობა მინიმუმ 20 ქულა)**

ა) შინაარსობრივი მხარე (30 ქულა): ➢ საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება–10 ქულა; ➢ ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა - 10 ქულა; ➢ ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა – 10 ქულა **ბ) ფორმალური მხარე (10 ქულა) :**	
2. საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაცია (ფასდება კომისიის წევრების მიერ საჯარო დაცვის დროს)	მაქსიმალური ქულა – 60 **(ნაშრომი დაცულად ჩაითვლება თუკი სტუდენტი საჯარო დაცვაზე მიიღებს მინიმუმ 31 ქულას)**
ა) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე (30 ქულა): ➢ კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის სიცხადე – 5 ქულა ➢ თეორიის და ემპირიული მასალის საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება–10 ქულა; ➢ ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა - 15 ქულა; **ბ) პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარის შეფასება 20 ქულა):** ➢ საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომის შინაარსთან– 5 ქულა ➢ არგუმენტირებული მსჯელობა – 5 ქულა ➢ აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით–10 ქულა **გ) ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე – 10 ქულა** ➢ საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე – 10 ქულა ➢ ნაშრომის/პრეზენტაციის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა	
ნაშრომის საბოლოო შეფასება (ხელმძღვანელის და კომისიის შეფასება)	**მაქსიმალური ქულა – 100** **დადებითი შეფასება – მინიმუმ 51**

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (დაცვის გარეშე):

ა) შინაარსობრივი მხარე (80 ქულა): ➢ საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება–35 ქულა; ➢ ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა - 35 ქულა; ➢ ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა **ბ) ფორმალური მხარე (20 ქულა) :** ➢ გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი, ანოტაცია და ა.შ..) – 20 ქულა	
ნაშრომის საბოლოო შეფასება	**მაქსიმალური ქულა – 100 დადებითი შეფასება**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება

სტუდენტის სახელი, გვარი

საბაკალავრო ნაშრომის დასახელება

ნაშრომი შესრულებულია .... ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სახელი, გვარი

აკადემიური თანამდებობა

თბილისი
202..

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

1. **სამაგისტრო ნაშრომის მიზანი**

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია - დარგობრივი ცოდნის, კვლევითი, შემოქმედებითი თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენა. ნაშრომში უნდა აისახოს სწავლების მოცემულ საფეხურზე შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. კერძოდ, სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის, ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხების, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად, გამონაკლის შემთხვევაში არა უმეტეს 2 თანაავტორის მიერ შესრულებულ სამუშაოს. თანაავტორობისას ანოტაციაში გამოკვეთილი და მითითებული უნდა იყოს თითოეული მონაწილის წვლილი.

სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტს შეუძლია კომპლექსური ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და შეფასება. ნაშრომში შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.

2. **სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა და ხელმძღვანელი**

მეოთხე/დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, მაგისტრანტი სასწავლო ბარათში (lms.tsu.ge) თავის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში რეგისტრირდება საგანზე: „სამაგისტრო ნაშრომი“. სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში სამაგისტრო ნაშრომების სავარაუდო სათაურებს და ხელმძღვანელების კანდიდატურებს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელები გადასცემენ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს ფაკულტეტის ვებგვერდზე ასატვირთად.

ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ი შეიძლება იყოს შესაძლებელია იყოს, როგორც შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორიც. სამაგისტრო თემის

ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს ნაშრომის თემის შერჩევას, კვლევის ჩატარებისა და ნაშრომის დასაცავად წარდგენის პროცესს.

3. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ენა

სამაგისტრო ნაშრომიშესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სწავლება მიმდინარეობს სხვა ენაზე).
უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ნაშრომს წარმოადგენენ იმ ენაზე, რა ენაზეც მიმდინარეობს სწავლება.

4. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ✓ თავფურცელი (სატიტულო ფურცელი);
- ✓ ანოტაცია (ქართულ და უცხო ენებზე თემის სათაურის მითითებით)
- ✓ სარჩევი (შინაარსი);
- ✓ შესავალი;
- ✓ ტექსტის ძირითადი ნაწილი;
- ✓ დასკვნა;
- ✓ გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
- ✓ დანართები (არსებობის შემთხვევაში).

სამაგისტრო ნაშრომს დანართის სახით უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი. დეტალური ინფორმაცია თითოეული კომპონენტის დიზაინის შესახებ იხილეთ დანართ #1-ში.

5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

ა) სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვა

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის გრაფიკს სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. გრაფიკი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

წინასწარი დაცვა ინიშნება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე. წინასწარი დაცვა ყველა სამაგისტრო პროგრამებისთვის ტარდება 6 (ექვსი) სამუშაო დღის განმავლობაში სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის საწყის თარიღამდე, სულ მცირე, 40 (ორმოცი) კალენდარული დღით ადრე.

სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვა/დაცვა ხდება საჯაროდ, დეკანის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება 5 წევრისაგან. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მაგისტრანტის ხელმძღვანელიც, მაგრამ ის არ მონაწილეობს მისი ხელმძღვანელობით შესრულებული ნაშრომის პრეზენტაციის შეფასებაში.

წინასწარი დაცვის ოქმი წარედგინება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს დაცვის შემდეგ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა.

ბ) სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯარო დაცვა

საჯარო დაცვები ყველა სამაგისტრო პროგრამისთვის ჩატარდება 6 (ექვსი) სამუშაო დღის განმავლობაში, სემესტრის დამთავრებამდე არა უგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღით ადრე.

სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე e-learning.tsu.ge.

ნაშრომის ატვირთვის ინსტრუქცია, ატვირთვის თარიღის მითითებით, გამოქვეყნდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე წინასწარ დაცვამდე არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე. ნაშრომის ატვირთვის ვადების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი ვერ ატვირთავს ნაშრომს და დაცვაზე არ დაიშვება. ამავე ინსტრუქციაში მოცემული იქნება პლაგიატის სახეების დეტალური განმარტება და ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში მასზე რეაგირების მექანიზმი.

სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების დასრულების შემდგომ, მაგრამ დაცვამდე არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე, შემოწმებული ნაშრომი, რომელშიც არ არის აღმოჩენილი პლაგიატი, გადაეცემა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. ეს უკანასკნელი უგზავნის ნაშრომს სამაგისტრო ნაშრომის ხელძღვანელს, რეცენზენტს და კომისიის წევრებს დაცვამდე 9 (ცხრა) კალენდარული დღით ადრე. სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს დაცვაზე წარდგენილი ნაშრომის ნაბეჭდი ვერსია. ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ზამბარით ან ყდაში ჩასმული).

ნაშრომის ნაბეჭდი ვერსია უნდა ემთხვეოდეს პლაგიატზე შემოწმებულს. ვერსიების აცდენის შემთხვევაში სტუდენტი დაცვაზე არ დაიშვება და აიღებს დამატებით სემესტრს.

ხელმძღვანელი და რეცენზენტი დაცვამდე 4 (ოთხი) დღით ადრე წერილობითი ფორმით უგზავნიან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს დასკვნას/რეცენზიას, რომელშიც ისინი აფასებენ

მაგისტრანტის ნაშრომს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. მაგისტრანტი დაცვაზე დაიშვება სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის და რეცენზენტის დადებითი შეფასების შემთხვევაში.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით (იხილეთ შეფასების კრიტერიუმები). სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

დაცვიდან 1 (ერთ) სამუშაო დღეში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ოქმი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, მაგისტრანტის სასწავლო ბარათში შეფასების ქულის შესატანად. სამაგისტრო ნაშრომი თანდართული ხელმძღვანელის შეფასებით და რეცენზიით ინახება სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (მედია და ახალი ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის გარდა)

I ნაშრომის შეფასება **(ფასდება რეცენზენტის მიერ)**	**მაქსიმუმ 40 ქულა** **(მაგისტრანტი დაცვაზე დაიშვება თუკი რეცენზენტი მის ნაშრომს შეაფასებს მინიმუმ 21 ქულით)**
ა) აქტუალობა (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე	მაქსიმუმ 5 ქულა
ბ) კვლევის მეთოდოლოგია (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა)	მაქსიმუმ 10 ქულა
გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მდიდარი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის ცოდნა, მისი წვლილი საკითხის შესწავლაში პრაქტიკული ან თეორიული თვალსაზრისით)	მაქსიმუმ 10 ქულა
დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების ლოგიკურობა, მათი გამომდინარეობა ძირითადი ტექსტიდან)	მაქსიმუმ 10 ქულა

ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე (ფასდება წარმოდგენილი მასალის კორექტურული და სტილისტური სისწორე, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმება, სტანდარტებთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა)	მაქსიმუმ 5 ქულა
II მაგისტრანტის სამაგისტროზე მუშაობის პროცესის შეფასება **(ფასდება ხელმძღვანელის მიერ)**	**მაქსიმუმ 20 ქულა (მაგისტრანტი დაცვაზე დაიშვება თუკი ხელმძღვანელი მის ნაშრომს შეაფასებს მინიმუმ 10 ქულით)**
ა) ხელმძღვანელთან კომუნიკაცია (ფასდება ხელმძღვანელთან კომუნიკაცია, ხელმძღვანელის მიერ მიცემული რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინება, დროის მენეჯმენტი)	მაქსიმუმ 10 ქულა
ბ) მაგისტრანტის დამოუკიდებლად მუშაობის უნარი (ფასდება მაგისტრანტის მოტივაცია, თემით და კვლევის პროცესის მიმართ ინტერესი, დამოუკიდებლად კვლევის წარმართვის უნარი, რელევანტური და მრავალფეროვანი ლიტერატურის მოძიებისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი)	მაქსიმუმ 10 ქულა
III. პრეზენტაციის შეფასება **(ფასდება კომისიის წევრების მიერ ნაშრომის საჯარო დაცის დროს)**	**მაქსიმუმ 40 ქულა (ნაშრომი დაცულად ჩაითვლება თუკი მაგისტრანტი საჯარო დაცვაზე მიიღებს მინიმუმ 20 ქულას)**
ა) პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე ფასდება ზეპირი პრეზენტაციის შინაარსობრივი გამართულობა, სტრუქტურა, გამოყენებული მეთოდები, ანალიზის ადეკვატურობა, დასკვნების (საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების) გამართულობა	მაქსიმუმ 10 ქულა
ბ) არგუმენტირების და დასკვნის უნარი (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარი, დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების სისწორე და	მაქსიმუმ 10 ქულა

ლოგიკურობა, მათი გამომდინარეობა ძირითადი მსჯელობიდან)	
გ) ნაშრომის ვიზუალური მხარე და მომხსენებლის საპრეზენტაციო უნარი (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების წარმოდგენის ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი; წახალისდება პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები...)	მაქსიმუმ 10 ქულა
დ) კომუნიკაციის უნარი (ფასდება კომისიის წევრებისა და აუდიტორიის კითხვებზე პასუხი და შენიშვნებზე კომენტარები, მათ შორის რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე)	მაქსიმუმ 10 ქულა

„მედია და ახალი ტექნოლოგიების პროგრამის“
სამაგისტრო პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

1. სამაგისტრო პროექტის შეფასება რეცენზენტის მიერ	**მაქს. 40 ქულა**
1.1. კვლევითი კომპონენტი: ➢ აქტუალობა და სიახლე - 8 ქულა; ➢ ანალიზისა და დასკვნის უნარი - 8 ქულა; ➢ ენა და სტილი - 4 ქულა	20 ქულა
1.2. პრაქტიკული პროდუქტი: ➢ შინაარსობრივი მხარე - 7 ქულა ➢ ობიექტურობა და ფაქტობრივი მასალის სიზუსტე - 7 ქულა ➢ ინფორმაციის წყაროები - 3 ქულა ➢ ენა და სტილი - 3 ქულა	20 ქულა

2. ხელმძღვანელის შეფასება	**მაქსიმუმ 20 ქულა (მაგისტრანტი დაცვაზე დაიშვება თუკი ხელმძღვანელი მის ნაშრომს შეაფასებს მინიმუმ 10 ქულით)**
2.1 ხელმძღვანელთან კომუნიკაცია (ფასდება ხელმძღვანელთან კომუნიკაცია, ხელმძღვანელის მიერ მიცემული რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინება, დროის მენეჯმენტი)	მაქს. 10 ქულა
2.2. მაგისტრანტის დამოუკიდებლად მუშაობის უნარი (ფასდება მაგისტრანტის მოტივაცია, თემით და კვლევის პროცესის მიმართ ინტერესი, დამოუკიდებლად კვლევის წარმართვის უნარი, რელევანტური და მრავალფეროვანი ლიტერატურის მოძიებისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი)	მაქს. 10 ქულა
3. ნაშრომის წარდგენა **(პრეზენტაცია)** **(**ფასდება კომისიის წევრების მიერ ნაშრომის საჯარო დაცვის დროს**)**	**მაქსიმუმ 40 ქულა (ნაშრომი დაცულად ჩაითვლება თუკი მაგისტრანტი საჯარო დაცვაზე მიიღებს მინიმუმ 21 ქულას)**
3.1 პრეზენტაციის ვერბალური მხარე ➢ მასალის ფლობა –10 ქულა ➢ ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი –5 ქულა ➢ აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი–10 ქულა ➢ კამათისა და დაცვის უნარი - 10 ქულა	მაქს. 35 ქულა
3.2 ტექნიკური და ვიზუალური მხარე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი	მაქს. 5
3.3 ნაშრომის საბოლოო შეფასება რეცენზენტის ქულა + კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასება	მაქსიმუმ 100 ქულა (დადებითი შეფასება მინიმუმ 51 ქულა)

დანართი #1

სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. თავფურცელი (სატიტული ფურცელი); ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე თემის სათაურის მითითებით);
2. სარჩევი (შინაარსი);
3. შესავალი;
4. ტექსტის ძირითადი ნაწილი;
5. დასკვნა;
6. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
7. დანართები (არსებობის შემთხვევაში).
8. სამაგისტრო ნაშრომს დანართის სახით უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი.

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი) – ივსება მკაცრად განსაზღვრული წესის მიხედვით:

- ფურცლის თავში უნდა მიეთითოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების
- სრული დასახელება, სადაც შესრულდა სამაგისტრო ნაშრომი (შრიფტის ზომა 18)
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დასახელების ქვევით, 2-3 სმ-ის დაშორებით იწერება მაგისტრანტის სახელი და გვარი (სახელობით ბრუნვაში, შრიფტის ზომა 16);
- შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდება (შრიფტის ზომა 16) (მას არ მიეწერება სიტყვა "თემა" და ბრჭყალებში ჩასმას არ საჭიროებს);
- სათაურის შემდეგ იწერება სამაგისტრო პროგრამის დასახელება (შრიფტის ზომა 14);
- სამაგისტრო პროგრამის სახელწოდების ქვემოთ იწერება მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (შრიფტის ზომა 14) (მაგ: სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად);
- თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარესთან მიეთითება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, წოდება, აკადემიური თანამდებობა;
- სულ ქვემოთ შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების

ადგილი/ქალაქი და წელი ციფრებით.

ანოტაცია - აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 300 სიტყვა; უნდა დაიწეროს როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე თემის სათაურის მითითებით. უცხოენოვანი ვარიანტი უნდა შეიცავდეს თემის დასახელებას, ავტორის გვარს და ინიციალებს. ჯგუფური პროექტის შესრულებისას ანოტაციაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.

შინაარსი (სარჩევი) – ასახავს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა მოხდეს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციის და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

შესავალი – წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები, დასმული ამოცანების შინაარსი, საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შედარებითი ანალიზი - რითი განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან. შესავლის მოცულობა, სასურველია არ აღემატებოდეს 2-3 გვერდს.

ტექსტის ძირითადი ნაწილი - ძირითადი ტექსტი იყოფა თავებად და პარაგრაფებად. თავები გადაინომრება თანმიმდევრულად და დასახელებისგან გამოიყოფა წერტილებით. პარაგრაფს დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები.
შესავალი, თითოეული თავი და დასკვნა უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან. თავის დასახელება იწერება 16-იანი ზომი შრიფტით.

დასკვნა – წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ნაწილს, რომელშიც მოკლედ აისახება კვლევის შედეგების თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება და გამოყენების პერსპექტივები.

გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები: სამაგისტრო ნაშრომი უნდა გაფორმდეს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილით (იხილეთ ბმული: http://www.waikato.ac.nz/library/study/referencing/styles/apa/examples/books).

გაფორმება

- სამაგისტრო ნაშრომი აკრეფილი უნდა A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- ელექტრონულ ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (doc. გაფართოებით). დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს MA Thesis და ავტორის გვარი (მაგ.: MA Thesis.Kapanadze);
- შესაძლო შრიფტის სახე – Sylfaen;
- შრიფტის ზომა – 12;
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
- ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი: მარცხნიდან - 3 სმ, მარჯვნიდან – 1 სმ, ზემოდან – 2,5 სმ, ქვემოდან – 2.5 სმ;
- ნაშრომის მოცულობა – არანაკლებ 40 გვერდისა, ხოლო ჯგუფური პროექტის შემთხვევაში, არანაკლებ 70 გვერდისა გრაფიკების, ცხრილებისა და სხვა ვიზუალური მასალის გარეშე.

დამტკიცებულია: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 25 მაისის სხდომაზე (ოქმი #3)

ცვლილებები შეტანილია: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი #7)

ცვლილებები შეტანილია: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის --------- სხდომაზე (ოქმი #...)

კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობა

(განახლებულია 2018 წ. 20 სექტემბრის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე)

1. რევაზ ჯორბენაძე - კომისიის თავმჯდომარე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ვალერიან მელიქიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება;
3. მარიამ მსხალაია - კომისიის მდივანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
4. თეონა მატარაძე- ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ინტერდისციპლინური მიმართულება;
5. ნათელა მონიავა - ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე;
6. მარეხ დევიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
7. ფიქრია ასანიშვილი -საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება;
8. სალომე დუნდუა - პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება;
9. ხათუნა მაისაშვილი - ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
10. მარინა ბურძენიძე- სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება;
11. ელენე გელაშვილი - ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი (დაემატა 2020 წლიდან).